ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ვაშლოვანის ქ. №5 /ახვლედიანის ქ. №18

თბილისი

2021, ივნისი

განსახილველი ობიექტი, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი, გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №18 და ვაშლოვანის ქ. №5, ორი ქუჩის გადაკვეთაზე მდებარეობს. ეს ადგილი ისტორიულად ვერის უბანს ეკუთვნის.



ვერა, იგივე ვერე, დღეს თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური უბანია. ძველად აქ, მდინარე ვერეს ქვემოწელზე, განლაგებული სოფელი ვერე ქალაქს ჩრდილო-დასავლეთიდან გარეთუბნის შემდეგ ესაზღვრებოდა. ისტორიულად ეს ტერიტორია გაბაშვილების მამულს წარმოადგენდა. XVIII ს-ში ვერე შემოიფარგლებოდა სამხრეთიდან გაბაანთ ხევით, დასავლეთიდან – სემიონოვკის დასახლებით, ჩრდილოეთიდან – საბურთალოთი, აღმოსავლეთიდან – მტკვრის ხეობით. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ვერეს ადრე სკვირეთი რქმევია. დროთა განმავლობაში სკვირეთი (სკორეთი) და ვერე კრებითი სახელი ხდება და აერთიანებს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას.

ვერა თბილისს ოფიციალურად XIXს-ის 70-იან წლებში შემოუერთდა. 1880-იან წლებში ქალაქის ეს უბანი უკვე მჭიდროდ არის განაშენიანებული. მიკროუბნის ქუჩათა სტრუქტურა, ნათლად ჩანს თბილისის სხვადასხვა დროინდელ გეგმებზე. 1904-13 წლის თბილისის გეგმებზე მოცემული უბანი ქალაქის I ნაწილს – ვერას ეკუთვნის. აქ უკვე ჩამოყალიბებულია ქუჩათა მეტ-ნაკლებად რეგულარული ქსელი. დღევანდელი რესპუბლიკის მოედნის ადგილზე ვხედავთ „არტილერიისკაია ბალკას“, ასევე სამხედრო, სარაკეტო, საზარბაზნე ქუჩებს. აქვე ახლოს (რუსთაველის მოედნის ადგილზე) იყო „მოსკოვის ზასტავა”, ასევე მესანგრეთა ქუჩა (თაბუკაშვილი). ამგვარად ცარიზმის პერიოდში ვერის უბნის ეს ნაწილი მნიშვნელოვან სამხედრო დანიშნულების მიკროუბანს წარმოადგენდა.

მ. ჯავახიშვილის ქ.
ლ. ძიაჩელის ქ.
გ. ახვლედიანის ქ.
ვაშლოვანის ქ.
ალ. ყოფილ ბ. ბოლოვანის ქ.
ალ. ყოფილ ბ. ბოლოვანის ქ.
ალ. ყოფილ ბ. ბო

რეაბილიტაციის გარეშე დარჩენილი ნაგებობებისთვის. სახლი სამსართულიანია და მისი პირველი სართული ე.წ. ნალესი რუსტითა და მართკუთხა ფორმის ღიობებით არის გაფორმებული, ხოლო დანარჩენი ორი სართულის მთავარ არქიტექტურულ აქცენტს თაღოვანი ფანჯრების სახასიათო რიტმი განაპირობებს.

აღსანიშანვია, რომ ძეგლის ფასადის მეორე სართულზე აუთენტური ალათები გამოცვლილია თეთრი ფერის მეტალოპლასტმასით, რაც დაუშვებელია ისტორიული შენობის მიმართ. ასევე შეუსაბამოა ძეგლის ფასადზე თვითნებურად განთავსებული მაღაზიების სარეკლამო აბრების ხასიათი და სამწუხაროდ, ახვლედიანის ქუჩის მხრიდან თვითნებურად თეთრად გადაღებილი კომერციული ფართის ნაწილი.

რაც შეეხება ეზოს ნაწილს, აქაც მთლიანობაში შენარჩუნებულია ძველი ხის შუშაბანდები თავისებური დეკორატიული მოტივებით, თუმცა, ხის მასალის ფიზიკური მდომარეობა მძიმეა. შუშაბანდების მხატვრული ელემენტების მიხედვით, სრულიად შესაძლებელია მომავალში სრულყოფილად აღდგეს ამ ევროპული სახლის „თბილისური“ ეზო ჭვირული მოაჯირების დეკორითა და ხის ღია კიბით. რომელიც უკანასკნელ პერიოდში გამოიცვალა საღი კონსტრუქციით.

რეკომენდაცია

ვაშლოვანის ქ. №5 / გ. ახვლედიანის ქ. №18, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ფასადის დაზიანებული ნაწილის სახეცვლა სასურველია ისტორიული შენობის საერთო მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლების მიხედვით, კერძოდ:

- ვინაიდან ვაშლოვანის ქ. №5 / გ. ახვლედიანის ქ. №18-ის ფასადის პირველი სართული ერთგვაროვანი არ არის და მასზე არსებობს როგორც რელიეფური, ასევე სადა, ნალესი რუსტის ფრაგმენტები, დაზიანებული კედლის ნაწილი შესაძლებელია დარჩეს არსებულ ლესვაში;
- შეუსაბამო, თეთრად შეღებილი ფრაგმენტი სასურველია შეიღებოს ძეგლის პირველი სართულის ძირითად მოვარდისფრო-ნაცრისფრად;
- სარეკლამო წარწერის ან ფირნიშის განთავსება რუსტირებული კედლის ზედაპირზე უნდა მოხდეს მოცულობითი ასოებით ან გამჭვირვალე მინის ზედაპირზე, არსებული რუსტის ზომების დაცვით;
- ღიობების თავზე საჩრდილობლების განთავსება შესაძლებელია ცალ-ცალკე თითეულ ღიობზე მარკიზის ფორმით;
- ტენტის ფერი და ზომა შესაფერისი უნდა იყოს ძეგლის პარამეტრების;
- ფრაგმენტის შეღებვისას ყურადღება უნდა მიექცეს მეზობელი შენობის – ახვლედიანის ქ. №20-ის კედლის ნაწილის გამოყოფას განსხვავებული ფერით;
- ძეგლის ეზოში მდებარე ხის კიბის ქვედა, ღიად დარჩენილი ნაწილი შესაძლებელია მთლიანად შეიფუთოს იდენტური მასალით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი